ხელშეკრულება N2022/04/22 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი

28 აპრილი 2022 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (შემდგომში-შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის დავით დოიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ნანა ქობული (პ/ნ 61001012748) (შემდგომში - მიმწოდებელი), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ რომ არ ვიმყოფებით ერთმანეთთან ინტერესთა კონფლიქტში და ვდებთ ხელშეკრულებას შემდგგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიიღოს მონაწილეობა 2022 წლის 30 აპრილს და 1 მაისს სსიპ ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრში (მის: დავით აღმაშენებლის გამზ. #127) დაგეგმილ სპექტაკლში ''თამაში'' და გაუწიოს დამკვეთს ხმის რეჟისორის საჭირო მომსახურება CPV-92300000.

1.2 ხელშეკრულების საფუძველია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10' მუხლის III პუნქტის "დ" ქვეპუნქტი- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის #99 განკარგულება.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 625 ლარს (რაც მოიცავს კაონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადებს)

3. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი

3.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 2022 წლის 15 მაისისა

3.2. ხელშეკრულების შესრულება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მხრიდან უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება. 4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; 4.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა შერის ხელმოწერის ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დადასტურების დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 15 ივნისის ჩათვლით.

6. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

6.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

6.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა დაკავშირებულია ფორს-მაჟორულ გარემოებებთან.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორული გარემოებები ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ, დაუძლეველ გარემოებებს. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების პარალელურად მოახდინოს გაწეული მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მიწოდების ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით.

8.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სხვა პირობები

9.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 9.2.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელიც მხარეების მიერ დადასტურებულია ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, თუ ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი

u/3 - 201948928

მის: დავით აღმაშენებლის გამზირი 127

მიმწოდებელი:

ნანა ქობულია

3/6 61001012748

ხელმოწერა